განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს ორგანულ კანონში ''საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ'' შეტანილი ცვლილების მიხედვით სახალხო დამცველი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას მიანდობს მისივე სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირს. ეს უკანასნელი ადმინისტაციულ სამართლებრივ ურთიერთობებშიმონაწილეობას იღებს სახალხო დამცველისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ორგანულ კანონში ''საქართველოს სახახლხო დამცველის შესახებ'' მომხდარი ცვლილების შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ცვლილების შეტანას , რომელიც უზრუნველყოფს სახალხო დამცველთან ერთად მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირის უფლებების განხორციელებას.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან ერთად წესდება მისი რწმუნებით აღჭურვილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის. ასევე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება ენიჭება სახალხო დამცველის რწმუნებით აღჭურვილ პირს

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა/ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ იწვეეს ხარჯებს

ბ.ბ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს საძემოსავლო ნაწილის უმნიშვნელო ზრდა.

ბ.გ/ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას

ბ.ე/ კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები იმ პირთათვის, ვისზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს ჯარიმის სახით სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებით აღჭურვილი პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, სახალხო დამცველის სპეციალურირ წმუნებით

აღჭურვილი პირის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზრაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

ბ.ე/კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი /პრინციპი/;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს დადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ/ კანონპროექტის მიმართება საერთ შორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა/ კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.ბ/ კანოპნპოროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ/ კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა/ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები. რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშაავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა

დ.ბ/კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების ან და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ/ასეთის არსებობის შემთხვევაში

დ.გ/ კანონპოექტის ავტორი

პარლამენტის წევრი ნაზი არონია

დ.დ/ კანონპროექტის ინიციატორი

პარლამენტის წევრი ნაზი არონია